ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 12-63

16 ივლისი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-12 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsNe.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი: 14/02/2019; სარეგისტრაციო კოდი: 010260300.35.101.016576) და დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 08 05), „შემოქმედებითი თბილისი" (კოდი: 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა" (კოდი: 08 13) განხორციელების წესის" (დანართი №1) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ.გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.გ) მედიახელოვნების სფეროს პროექტების ხელშეწყობა - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ციფრული და ვირტუალური ხელოვნება, რობოტიკა, ციფრული ფოტოგრაფია, ურბანული მედიახელოვნება, აუდიოვიზუალური ინსტალაციები, ანიმაცია, ხელოვნური ინტელექტი და სხვა;".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე